იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოეთის ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-12 წელი

№ 14 (198)

ივლისი,

1968 წელი



თბილისი, სანაპიროს ხედი სასტუმრო „ივერიასთან“

საქართველოს სახლები-71

სამოქალაქო მშენებლობის და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტმა დაამტკიცა ქალაქებსა და მუშათა დაბებში საცხოვრებელი სახლების დაპროექტების პროგრამა-დავალება 1971-1975 წლების მშენებლობის პერიოდისათვის. საქართველოს სახმშენში ჩვენს კორესპონდენტს აცნობეს:

— სამოქალაქო მშენებლობაში წარსულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა. შემუშავებულია საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტები ბინების გაუმჯობესებული დაგეგმვით — ოთახების სიმაღლე 270 სანტიმეტრამდე, ცალკ-ცალკე სანიტარული კვანძები, დამხმარე სამსახურების იზოლაცია და სხვ.

ქალაქებში უკვე ჭარბობს სხვადასხვა ფორმის მაღლივი შენობები, რაც გაამრავალფეროვნებს საცხოვრებელი კომპლექსების გადაწყვეტას, გაუმჯობესებს არქიტექტურულ-მხატვრულ ხარისხს.

დღევანდელი დღე დაბეჯითებით მოითხოვს მასობრივი საბინაო მშენებლობის შემდგომ გაუმჯობესებას. ეს პირველ რიგში ეხება საცხოვრებელი შენობების ტიპებს, ბინების გეგმიან ორგანიზაციას, მათ კეთილმოწყობას, სახლების საექსპლოატაციო და ესთეტიკურ მხარეს, აგრეთვე მოსახლეობის მომსახურების საზოგადოებრივ ფორმებს. სწორედ ეს მოთხოვნებია გათვალისწინებული სსრ კავშირის სახმშენის პროგრამა-დავალებაში, რომელსაც ახლა ახორციელებენ საბჭოთა კავშირის საპროექტო ინსტიტუტები, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის ინსტიტუტებიც.

უწინარეს ყოვლისა იგი ითვალისწინებს თითოეული ოჯახისათვის ცალკე ბინის მიცემას, როგორც წესი, წევრთა რაოდენობაზე. ესე იგი სამი სულისაგან შემდგარ ოჯახს უნდა მიეცეს ოროთახიანი ბინა, ოთხ სულს —სამოთახიანი — და ა. შ. ახალი სამშენებლო ნორმებითა და წესებით ნებადართულია ერთოთახიანიდან ხუთოთახიანი ბინების მშენებლობა. ამასთან ბინების თანაფარდობა სახლებში დაახლოებით ასეთი უნდა იყოს: ერთოთახიანი — 10 პროცენტი, ოროთახიანი — 30 პროცენტი, სამოთახიანი — 25 პროცენტი, ოთხოთახიანი — 20 პროცენტი და ხუთოთახიანი — 15 პროცენტი. ამას საფუძვლად უდევს ოჯახის საშუალო შემადგენლობა სსრ კავშირში — 3,5 კაცი.

1971 წლიდან ერთ კაცზე საშუალოდ მოვა 14 კვადრატული მეტრი. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს კლიმატურ თავისებურებებს, სსრ კავშირის სახმშენება ნება დართო რამდენადმე გაიზარდოს ჩვენს რესპუბლიკაში ბინების სასარგებლო ფართობი. მაგალითად, ერთოთახიანი ბინის სასარგებლო ფართობი იქნება 40 კვადრატული მეტრი, ოროთახიანისა — 56, სამოთახიანისა — 68, ოთხოთახიანისა — 80 და ხუთოთახიანისა — 92 კვადრატული მეტრი.

ახლა ჯერ კიდევ ადრეა ლაპარაკი საცხოვრებელი შენობების არქიტექტურულ-მხატვრულ კომპოზიციაზე. საპროექტო წინადადებებს მხოლოდ ახლა ადგენს სამი წამყვანი ინსტიტუტი — თბილისის ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, „თბილქალაქპროექტი“ და საქართველოს საქალაქო მშენებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. პროექტების ავტორები ეცდებიან გამოიყენონ სხვადასხვა კომპოზიციური ხერხები და საშუალებები, რაც განპირობებულია რესპუბლიკის ბუნებრივ-კლიმატური და ეროვნულ-საყოფაცხოვრებო პირობებით: საზაფხულო შენობები — ლოჯიები და აივნები, ღია კიბეები, გალერეები, მზის საცავი მოწყობილობა და სხვ. ეს საცხოვრებელი სახლების არქიტექტურას თავისებურ ადგილობრივ კოლორიტს მისცემს, გაზრდის მათ მხატვრულ გამომსახველობას.

სახლების სიმაღლე ქალაქებში იქნება ცხრა სართული და მეტი, სოფლად — ოთხი სართული. შენობები იქნება კარკასიან-პანელიანი და დიდპანელიანი.

იქმნება აგრეთვე ახალი სახლების მასობრივი მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს № 6 საპროექტო ინსტიტუტი საქართველოსათვის ადგენს სამი სახლსაშენებელი კომბინატის პროექტებს. ამ კომბინატებს ააშენებენ თბილისში, გორსა და სოხუმში. რეკონსტრუირებული იქნება არსებული საწარმოები.

ქიმიის დიდი ნაბიჯები

„სამშობლოს ხმის“ მკითხველებს ესაუბრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქიმიური მრეწველობის სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე ნ. ავალიანი.

ქიმიურმა ინდუსტრიამ საპატიო ადგილი დაიკავა საქართველოს ეკონომიკაში. 1930 წლამდე ჩვენში იყო მხოლოდ პატარა შინამრეწველური ქიმიური საწარმოები. მათგან ყველაზე დიდი იყო თბილისის ქიმკომბინატი, სადაც შეიქმნა ლაქებისა და საღებავების და მშრალი პიგმენტების წარმოება. ცხრა წლის შემდეგ მწყობრში ჩადგა ქუთაისის ლითოფონის ქარხანა — პირველი დიდი ქიმიური საწარმო რესპუბლიკაში და მეორე — საბჭოთა კავშირში. შემდეგ აქ დაიწყო შაბიამნის წარმოება, რომლითაც მთლიანად კმაყოფილდება რესპუბლიკის მოთხოვნილება, ხოლო ნაწილი იგზავნება მის ფარგლებს გარეთ.

საქართველოს ქიმიური მრეწველობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა შვიდწლედში. ამ პერიოდში რუსთავის აზოტოვანი სასუქის ქარხნის ამიაკის წარმოების სიმძლავრე 2,5-ჯერ გაიზარდა. მწყობრში ჩადგა კაპროლაქტამის საამქროთა კომპლექსი, ამონიუმის სულფატის, ციანმარილების, თხევადი ნახშირორჟანგის, მშრალი ყინულის წარმოების სიმძლავრეები. აზოტოვანი სასუქის ქარხანა გადაკეთდა ქიმიურ კომბინატად, რომელიც ავითარებს ორ ქარხანას — კაპროლაქტამისა და აზოტოვანი სასუქის ქარხნებს. კომბინატი ახლა უშვებს დაახლოებით 15 სახეობის უმნიშვნელოვანეს ქიმიურ პროდუქციას.

ჩვენი რესპუბლიკა ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების ძირითადი მწარმოებელია ჩვენს ქვეყანაში, ეს კულტურები მოითხოვენ დიდძალ აზოტოვან სასუქს. მინერალური სასუქების წარმოება იზრდება 2,2-ჯერ. ამისათვის ამუშავდება ახალი სიმძლავრეები. მაგალითად, რუსთავის ქიმიურ კომბინატში 1969 წელს მწყობრში ჩადგება კარბამიდის — ყველაზე კონცენტრირებული სახეობის აზოტოვანი სასუქის წარმოება. კარბამიდს იყენებენ არა მარტო მიწათმოქმედებაში, არამედ მეცხოველეობაშიც, როგორც ნივთიერებას, რომელიც ხელს უწყობს წველადობის ზრდას.

სოფლის მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებებს, კერძოდ, შაბიამანს. მისი წარმოების ზრდაში დიდ დახმარებას გვიწევს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი, რომელმაც შემოგვთავაზა შაბიამნის მიღების მეთოდი ავტოკლავური ხერხით უშუალოდ სპილენძის კონცენტრატებიდან, გოგირდმჟავას გამოუყენებლად. ეს სიახლე განხორციელდება მადნეულის სპილენძის გამამდიდრებელ კომბინატში.

ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონლის გამოშვება. მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნილება ამ საქონელზე ჯერჯერობით მთლიანად ვერ კმაყოფილდება. ამასთან დაკავშირებით სოფელ ლილოში შენდება საყოფაცხოვრებო ქიმიის დიდი ქარხანა, რომელიც ამუშავდება მიმდინარე წელს. ასეთი ტიპის საწარმო აშენდება სოხუმში. დაიწყო თბილისის ლაქსაღებავების ქარხნის რეკონსტრუქცია-გაფართოება. მისი სიმძლავრე გასამკეცდება.

1970 წლის დამლევისათვის რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1965 წელთან შედარებით ერთისამად და მეტად გაიზრდება. ამისათვის ასიგნებულია ათეულ მილიონობით მანეთი.

წელს მივაღწიეთ ციანმარილებისა და კაპრონის კორდის, აბრეშუმის, დაქუცმაცებული გათეთრებული ბარიტის წარმოების საპროექტო სიმძლავრეებს. განზრახულია ამიაკის წარმოებაში ოპერატიული მართვის სისტემის ავტომატიზაცია გამოსათვლელი ტექნიკის გამოყენებით, ნახევარგამტარი გამსწორებლების დანერგვა კალიუმის პერმანგანატის საამქროში და სხვა.

ექვსი თვის შედეგები მოწმობენ, რომ საქართველოს ქიმიკოსები პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, ახალი გამარჯვებებით დაამთავრებენ მიმდინარე წელს.


მოკლედ

თბილისის ქარხანა „მიკროძრავამ“ იზმირის საერთაშორისო ბაზრობაზე გაგზავნა ვეო-1 ტიპის ელექტროვენტილატორების პარტია, რომლებიც განკუთვნილია საყოფაცხოვრებო პირობებში გამოსაყენებლად. საქართველოს ელექტროტექნიკური მრეწველობის პირმშო — ეს ქარხანა მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა ვაჭრობის გამოფენაზე ლონდონში, საერთაშორისო ბაზრობებზე ბარში (იტალია), დამასკოში (სირია), რომლებიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე მოეწყობა.

ამას წინათ საწარმომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში გაგზავნა ელექტროძრავები სამეცნიერო მოწყობილობისათვის.

დედაქალაქის დიღმის მასივში შენდება დახურული ბაზარი. იგი აღიჭურვება სპეციალური გამციებელი დახლებით, კამერებით ხორცის, რძის პროდუქტებისა და ბოსტნეულის შესანახად. შენობის ერთ ნაწილში აიგება კაფე. პროექტის ავტორები არიან თბილისის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალური სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო ინსტიტუტის კონსტრუქტორები ვ. სიხარულიძე და ბ. ცქიფურიშვილი.

ბაზრის ახლოს გათვალისწინებულია აშენდეს სავაჭრო კომპლექსი. აქ მოთავსდება უნივერმაღი, სასურსათო მაღაზია, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, კავშირგაბმულობის განყოფილება.



ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა

რამდენიმე თვის წინათ ჩვენი უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრას შეემატა ახალი წევრი — ჰ. იენის ფრ. შილერის სახელობის უნივერსიტეტის გერმანისტიკის ინსტიტუტის დოცენტი დოქტორი პეტერ ზუქსლანდი. იგი ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ სამუშაოდ მოიწვია ორ უნივერსიტეტს შორის დადებული მეგობრული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების შესაბამისად.

დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის გერმანულ განყოფილებაზე დრი ზუქსლანდი მთელი სემესტრის მანძილზე მრავალმხრივ ნაყოფიერ მუშაობას იწეოდა. II და IV კურსის ჯგუფებთან პრაქტიკული მეცადინეობის გარდა, იგი ლექციებს კითხულობდა გერმანული ენის ისტორიაში III კურსზე, ხელმძღვანელობდა გერმანული ფილოლოგიისა და გერმანული ენის კათედრების პედაგოგებისათვის განკუთვნილ 2 სემინარს, კონსულტაციებს უტარებდა ასპირანტებსა და ახალგაზრდა პედაგოგებს.

სამშობლოში გამგზავრების წინ გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტი ესაუბრა პეტერ ზუქსლანდს თბილისში მიღებული შთაბეჭდილებების ირგვლივ.

რა აზრისა ხართ იენისა და თბილისის უნივერსიტეტების თანამშრომლობის შესახებ?

— ჩვენი უნივერსიტეტების თანამშრომლობა მე მიმაჩნია მნიშვნელოვან მოვლენად ქართულ-გერმანულ ურთიერთობათა ისტორიაში, რადგანაც, რამდენადაც ვიცი, პირველად წარმოებს ამ ორი ერის მეცნიერთა შორის გეგმაზომიერი ერთობლივი მუშაობა. ეს ხელშეკრულება, თუ მას ისტორიული თვალსაზრისით მივუდგებით, ჯერ კიდევ შედარებით ახალგაზრდაა და ამდენად, მე მგონია, ურთიერთთანამშრომლობის ამჟამინდელი სტადია მხოლოდ დასაწყისია, მაგრამ ფრიად დამაიმედებელი დასაწყისი.

ცხადია, მომავალი თანამშრომლობის გეგმები ჩვენი უნივერსიტეტების ხელმძღვანელთა განსჯის მიხედვით წარიმართება. მაგრამ ჩემდა თავად მიმაჩნია, რომ თბილისელ და იენელ ლინგვისტთა მჭიდრო კონტაქტს, საკუთრივ ჩემს სპეციალობაში, კარგი ნაყოფის მოტანა შეუძლია.

როგორ აფასებთ თქვენს მუშაობას ჩვენს უნივერსიტეტში? თქვენთვისაც თუ ჰქონდა ამას გარკვეული შემეცნებითი მნიშვნელობა?

— იმედი მაქვს, რომ ჩემმა მუშაობამ აქ მცირედი სარგებლობა მაინც მოუტანა ქართველ გერმანისტთა მომზადებას. ჩემთვის ნათელია, რომ ეს მუშაობა საკმაოდ შეზღუდული იყო, თუნდაც დროის სიმცირის გამო. პირველად მე ქართველ სტუდენტებთან მუშაობამ და, რაც მთავარია, საინტერესო საუბრებმა თბილისელ კოლეგებთან მრავალი ახალი მოსაზრება აღმიძრა; ჩემს წინაშე წამოიჭრა მთელი წყება ჩემი დედა-ენის ისეთი პრობლემებისა, სასელდობრ სემანტიკის სფეროში, რომლებიც ასე ადვილად როდი იჩენენ თავს სამშობლოში ყოფნისას, მშობლიური ენის ყოველდღიურ გარემოში. ამდენად სრულიად გამორიცხულია ლაპარაკი ცალმხრივი დამოკიდებულების შესახებ ჩემსა და ჩემს ქართველ კოლეგებს შორის.

რამ მოახდინა თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება ჩვენს ქვეყანაში?

— საქართველოში მე ბევრი კარგი რამ ვნახე და განვიცადე (მომაჯადოებელი ლანდშაფტი — ბუნების სურათები, ხედები, ძველი კულტურის ძეგლები და სხვ.). ყველაზე ძლიერი, ღრმა შთაბეჭდილება კი მაინც ადამიანებმა მოახდინეს. ქართველი ხალხი ხომ მეტად სტუმართმოყვარეა, ამის შესახებ უკვე გაგონილი და წაკითხული მქონდა, მაგრამ ეს ზოგადი ცოდნა მკრთალდება უშუალოდ განცდილის შედეგად. აქ ისეთი კარგი მეგობრები შევიძინე, იმდენად გულისხმიერი დამოკიდებულება ვიგრძენი, რომ მე მიძნელდება ყოველივე ამის რამდენიმე სიტყვით გამოთქმა.

რა შეხედულებისა ხართ გერმანული ფილოლოგიისა და გერმანული ენის კათედრებზე წარმოებული მუშაობის შესახებ?

— მე უაღრესად დადებითი წარმოდგენა შემექმნა ორივე კათედრის საქმიანობის შესახებ. სემესტრის მანძილზე, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე ჩემი კოლეგების ლექციებსა და სემინარებზე უფრო ხშირად დასწრება, რათა მათი გაკვეთილების მეშვეობით ახლოს გავცნობოდი პროგრამასა და სწავლების მეთოდებს. მუშაობის შედეგები გვიჩვენებენ, რომ მასწავლებელთა კოლექტივი, რომლისთვისაც გერმანული ძირითადად უცხო ენას წარმოადგენს, შესანიშნავად ართმევს თავს ამ რთულ საქმეს.

რას იტყვით თქვენი მსმენელების — ქართველი სტუდენტების შესახებ?

— გერმანულის შემსწავლელ სტუდენტთა სამეტყველო ჩვევები, საერთოდ, საკმაოდ კარგია, ხშირად ძალიან კარგიც. და არა მარტო მაღალ კურსებზე, თუმცა აქ ეს განსაკუთრებით თვალში ხვდება კაცს. ყოველივე ეს განსაკუთრებით დამარწმუნებლად გამოვლინდა სტუდენტთა სამეცნიერო წრის მუშაობაში და კიდევ უფრო მეტად — სტუდენტთა კონფერენციაზე.

რას უსურვებდით ჩვენს უნივერსიტეტს 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით?

— რას ვუსურვებდი ჩემს მეორე მშობლიურ უნივერსიტეტს?

დაე, ყველა მეცნიერმა და სტუდენტმა მრავალი ათწლეულის განმავლობაში შეძლოს მშვიდობიანი მუშაობა ქართველი ხალხის, საბჭოთა კავშირის, ცივილიზებული კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

„სამშობლოს ხმის“ ინტერვიუ

— „მეც მივბაძე ქართველებს!“

მეორე სემესტრიდან დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ფრანგული სპეციალობის II და IV კურსების ორ ჯგუფს ფრანგულ ენას უკითხავდა ფრანგი ჟორჟ სუდრესი. იგი პარიზელია, მუშაობს ერთ-ერთ ლიცეუმში ფრანგული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ჟორჟ სუდრესი ლექციების კითხვას გააგრძელებს 1968-69 სასწავლო წლის I სემესტრშიც. საზაფხულო არდადეგებზე სამშობლოში გამგზავრების წინ ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ესაუბრა მას. გთავაზობთ ამ საუბრის მოკლე შინაარსს.

როგორ მიგიღეს უნივერსიტეტში?

— აეროპორტშივე ვიგრძენი ქართველი კოლეგების დიდი ყურადღება ჩემს მიმართ. მათ ყველა პირობა შემიქმნეს ნორმალური მუშაობისა და ცხოვრებისათვის.

სტუდენტებთან მუშაობის დაწყებისას გარკვეულ სიძნელეებს წავაწყდი, განსაკუთრებით, ადაპტაციასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს სიძნელეები მალე იქნა დაძლეული. პარალელურ ჯგუფებთან მუშაობდნენ მასწავლებლები — გუგუნავა, მეგრელიძე, ხუხუნი, დობროვოლსკაია, რომლებიც სისტემატურ მეთოდურ დახმარებას მიწევდნენ.

ჩვენთან ჩამოსვლამდე რამდენად იცნობდით საქართველოს?

— დაწვრილებითი ცნობები არ მქონია მის შესახებ. აქ კი დავინტერესდი თქვენი ქვეყნით, გავეცანი მის ისტორიას. კედელზე საქართველოს რუკა მქონდა გაკრული და ვსწავლობდი მის გეოგრაფიას.

წავიკითხე შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ წუწაძისეული შესანიშნავი ფრანგული თარგმანი. ეს ძალიან დიდი მწერალია, რომლის მსგავსი იმ ეპოქაში საფრანგეთს არ ჰყოლია.

ვიყავი ექსკურსიებზე ფასანაურში, გორში, ყინწვისში, სამთავისში, მცხეთაში. აღფრთოვანებული ვარ ქართული არქიტექტურით.

რას იტყვით თბილისზე და თბილისელებზე?

— თბილისი ძალიან მომეწონა. ამის შესახებ ბევრი ვილაპარაკე ტაქსის შოფრებთან, რომლებიც, როგორც კი გაიგებდნენ უცხოელი ვიყავი, უმალ ასეთსავე კითხვას მისვამდნენ.

ქართველები ძალიან გულგახსნილი ხალხია, უყვართ ადამიანური კონტაქტების დამყარება. ვინაიდან მე სამხრეთელი ვარ, კარგად შევეთვისე ამას. ასე რომ, თავი უცხო ქალაქში არ მიგრძვნია.

გამაოცა ქართველი კაცის მასპინძლობის საოცარმა გრძნობამ, გულუხვობამ, კეთილშობილებამ. ძალიან გამიკვირდა, მაგრამ ამასთანავე მომეწონა, როცა რესტორანში სრულიად უცნობი სუფრასთან მიგიპატიჟებს. ასეთ რამეს ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ნახავ. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ მხრივ რამდენჯერმე მეც მივბაძე ქართველებს.



ქ. ფოთი, ცენტრალური მოედანი

ფოთს სამართლიანად უწოდებენ ამიერკავკასიის საზღვაო ჰიშკარს. მისი პორტის ნავმისადგომებთან ხშირად მოდიან ათობით უზარმაზარი სატვირთო გემები სხვადასხვა სახელმწიფოს ალმებით. დღისით და ღამით იტვირთებიან და იცლებიან გემები. აქედან იგზავნება მსოფლიოს ყველა კუთხეში ჰიათურის საუკეთესო მანგანუმის მადანი.

ყოველწლიურად იზრდება, ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება ქალაქი ფოთი. იგი გაშენებულია მოედნის მაგვარად, სადაც, მზის სხივების მსგავსად, სწორი ქუჩებია გადაჭიმული. ახლა მოედანი და ქუჩებიც მწვანეშია ჩაფლული. ბაღებსა და სკვერებს, რომლებიც საცხოვრებელ კვარტალებთან ერთად მთლიან ქალაქ-ბაღს ჰქმნიან, ხარობს ლიმონის, მანდარინის, გრეიფუტის ხეები.

როცა შახტები დაგერდება...

ტყვარჩელი. ამ ქვეყნად მუდმივი არაფერი არ არის. და რა დიდიც უნდა იყოს ტყვარჩელის ქვანახშირის მარაგი, იგი მაინც უსაზღვრო არ არის. აი ამიტომ საქალაქო საბჭოს დეპუტატები უკვე დღეს ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ იქნება ამ ქალაქის ცხოვრება, როცა მობერებული შახტები დაამთავრებენ თავიანთ სამსახურს. მათი ინიციატივით შედგენილია ცენტრისაგან ყველაზე დაშორებული მეშახტეთა დაბების შემდგომი ეკონომიური განვითარების პერსპექტიული გეგმა. მისი მონახაზებით უკვე მომავალ ხუთწლედში გათვალისწინებულია შეიქმნას ახალი საწარმოები, აშენდეს კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო დაწესებულებები. ხოკალის რაიონში მეოთხე და მეხუთე ქვანახშირის მოედნებზე დაპროექტებულია აშენდეს ორი ახალი შახტი, ხოლო დაბა კვეზანში — ელექტროტექნიკური ხელსაწყოების ქარხანა. ამას წინათ მთებში აღმოჩენილი დოლომიტის ბუდობების ბაზაზე გათვალისწინებულია აშენდეს მაგნიუმის ქარხანა. მაღალხარისხოვანი კირქვის ვეებერთელა მარაგის ბაზაზე აშენდება კირის დიდი ქარხანა.

ხუთი მაღალი მთის შახტის დაბებსა და ქალაქის ცენტრში გათვალისწინებულია აშენდეს საშუალო სკოლების შენობები. ტყვარჩელში განზრახულია აშენდეს პიონერთა სასახლე, მუსიკალური სკოლები, კლუბები, ბიბლიოთეკები, პოლიკლინიკა, სამშობიარო სახლი, საბავშვო ბაგები და ბაღები, საცურაო აუზი და ტურისტთა ბანაკი. რეკონსტრუქციის შემდეგ ფართოვდება მეშახტეთა მთის სანატორიუმი „ღალიძგა“.

ძეგლის ავტორია ჩვენი თანამემამულე

საბჭოთა ხალხი პატივს სცემს გმირთა ხსოვნას, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამის მკაფიო მაგალითია ქალაქი სევასტოპოლი, სადაც ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით მონუმენტებს. მათ შორისაა ჩრდილოეთ ბუხტაში დადგმული გმირი გვარდიელების დიდების ძეგლი. ძირითადი ობელისკის სიმაღლეა 31 მეტრი, ორი გვერდითი ობელისკისა — 11 მეტრი. ძირითადი ობელისკის კონუსზეა გვარდიული ნიშანი, ხოლო კორპუსზე ორმეტრიანი დიდების ორდენი.

სევასტოპოლის გმირული დაცვის მუზეუმის ექსკურსიამძღოლი ვალენტინა კოხი ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილა, როცა უკითხავთ, თუ ვინ არის ამ ძეგლის პროექტის ავტორი. იგი არ იცნობდა ავტორს, მას არ იცნობდნენ მუზეუმის სხვა თანამშრომლებიც. კოხმა განიზრახა გაეროკვია ავტორის ვინაობა. ხანგრძლივი ძიების შემდეგ მან დაადგინა, რომ ძეგლის ავტორია ჩვენი თანამემამულე, ამჟამად საქართველოს დამსახურებული მხატვარი ჯ. ჭანკვეტაძე.

აი რა უამბო ჩვენს კორესპონდენტს ჯ. ჭანკვეტაძემ:

— ეს იყო 1944 წლის 8 მაისს. დილის ექვსი საათისათვის სევასტოპოლის ჩრდილოეთი მხარე მეორე გვარდიული და 51-ე არმიების ნაწილებმა გაათავისუფლეს ფაშისტებისაგან. ხოლო 9 მაისს საღამოსათვის მთლიანად გაწმინდეს ქალაქის ცენტრი. ლეიტენანტი ჭანკვეტაძე გამოიძახეს შტაბში და წინადადება მისცეს შეედგინა ძეგლის პროექტი და ეხელმძღვანელა მშენებლობისათვის.

მეორმოცე დღეს, ამბობს მხატვარი, მოვახსენე მშენებლობის დამთავრება, ხოლო 24 ივლისს მონუმენტი საზეიმოდ გაიხსნა. მშენებლობის დროს იყო სიძნელეები — გრანიტსა და მარმარილოს ვაგროვებდით „ფონდებიდან“, რომელთა წაღება ვერ მოასწრეს გერმანელებმა. გვაკლდა ლითონი, ვადნობდით ჩამოგდებულ გერმანულ თვითმფრინავებს. ამ მონუმენტისათვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დამჯილდოვეს.

უფრო ადრე ჭანკვეტაძის პროექტით აიგო პერეკოპის გმირთა ძეგლი. მისთვის მხატვარმა მიიღო მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“. სამწუხაროდ მონუმენტი ხისა იყო (სხვა მასალა არ ჰქონდათ) და 1945 წელს იგი დაიწვა. ეს მხატვარს აცნობა მუზეუმის დირექტორის მოადგილემ ვ. სმიანმა. მონუმენტის ადგილას აიგება ახალი ძეგლი. ჭანკვეტაძემ მუზეუმს გაუგზავნა თავისი მასალები და ჩანახატები.

„გასტრონომი“ ... ხეზე

ვაიკითხეთ, საინტერესოა

საქართველოში კარგა ხანია დამთავრდა კაკლის ხის საგანაფხულო რგვა. ამ კულტურას რესპუბლიკაში დაახლოებით 11 ათასი ჰექტარი უკავია. რგვა გაგრძელდება შემოდგომაზე. 24 სატყეო მეურნეობა ამზადებს სამწლიან ნერგებს.

კაკლის ჩრდილში ზაფხულის მცხუნვარე დღეს უკვართ დასვენება მიწათმოქმედთ. იშვიათი ეროვნული კერძები მზადდება ამ ბუმბერაზი ხის ნაყოფის გამოყენებით.

ბიჭებმა, რომლებიც განუწყვეტლივ კრეფენ მწვანე პრიალა კაკალს, ალბათ არ იციან, რომ მისი ჟელის კალორიულობა შეიძლება გამოიხატოს ასეთი ფორმულით: ერთი კილოგრამი ნიგოზი უდრის სამ კილოგრამ პურს, პლუს შვიდი კილოგრამი კარტოფილი, ოთხი კილოგრამი ხორცი, თხუთმეტი კილოგრამი რძე, თოთხმეტი კილოგრამი მსხალი. 400 გრამი ნიგოზი იძლევა 3.305 კალორიას, მაშინ, როცა ადამიანს დღეში საშუალოდ სჭირდება 3.500 კალორია.

ი. ვ. მიჩურინმა კაკლის ხეს უწოდა „ხე-კომბინატი“. და არა მარტო მისი ნაყოფის მაწვრობისათვის. ხის ყველა ნაწილი გამოიყენება სახალხო მეურნეობაში. კაკლის ხის მერქანს ფართოდ იყენებენ თვითმფრინავების, გემების, შენობების შიდა მოპირკეთების დროს. მისგან ამზადებენ ლამაზ ავეჯს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამერიკის ცნობილი ფირმის „ფორდის“ სარკვლამო პროსპექტებში ნათქვამია, რომ მისი ავტომობილები მოპირკეთებულია კავკასიური კაკლით.

ნიგვზის ზეთს აფასებენ კონდიტერები, პარფიუმერიები, ფერმწერები, ნაყოფის ტანინით მდიდარი მწვანე გარსი ტყავის კარგი მთრიმლავია. ქერქისა და ფესვებისაგან ამზადებენ გაუხუნებელ ყავისფერ საღებავს. ნიგვზის დაწნეხის შემდეგ რჩება კომპოტი — დიდკალორიანი საჭმელი პირუტყვისათვის. კაკლის ნაჭუჭიც კი გამოყენებულია სახეხი და სალესი ქვების დასამზადებლად.

კაკლის ხე ნაყოფს ისხამს ათი წლის ასაკიდან და ამ უნარს კარგავს მხოლოდ 200 წლის შემდეგ. მისი ფოთლები გამოყოფენ ეთეროვან ნივთიერებებს, რომლებიც ჭადაულახავ დაბრკოლებას უქმნიან ბუზებს, კოღოსა და მუშლს.

და კიდევ ერთი არგუმენტი კაკლის სასარგებლოდ — მისი შემოსავლიანობა. ერთი ჰექტარი კაკლის პლანტაცია ათასი მანეთით მეტ შემოსავალს იძლევა, ვიდრე ერთი ჰექტარი ვაშლის ბაღი.

ილია რურუა

არგენტინა — შორეული ქვეყანა...

მოთხრობა

ახალ წელს ყველა ცდილობს შინ გაითენოს და დაიღამოს. თუ სადმე გადახვალ ცოტა ხნით, კარის მეზობელთან, რომელმაც მეკვლედ უკვე შემოგიზვანა ნუგბარით ხელებდამშვენებული პატარა გოგონა ან ბიჭი.

ძალიან ახლობელი და ძვირფასი ოჯახი უნდა იყოს, ან განსაკუთრებული მიზეზი უნდა გქონდეს, რომ სტუმრად უფრო შორს წახვიდე.

ჩემს ტრადიციულ საახალწლო ვიზიტს დეიდა თამართან სწორედ ასეთი მიზეზი აქვს.

ათ წელზე მეტია, ახალ წელს მარტოდმარტო ითენებს; ხოლო ერთადერთ ვაჟიშვილს რომ ველარ ხედავს, ბარე ოცდახუთი წელიც იქნება.

ჩემი დეიდაშვილი მიხო — ჩემი კბილა და ჩემთან თანაშეზრდილი — ომის პირველსავე წელს დაიკარგა უგზოუკვლოდ.

მანუგეშებლად დეიდაჩემს ჩემზე მახლობელი არავინ დარჩენია.

ახლაც, ახალი წლის ადრიან დილით, დეიდასთან მივიჩქარი.

ვიცი, მოუთმენლად მელოდება.

ამ სავალდებულო მოვალეობას შევეჩვიე, მაგრამ როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ერთი ფიქრი მაწვალებს: კიდევ რა მოვიგონო, რა ვუთხრა სანუგეშო.

ვერაფერი ვერ მოვიგონე, ისე მივადექი კარზე.

დეიდა მეხვევა, პალტოს გახდაში მშველის, მზრუნველობით მართმევს თბილ კაშნესა და ხელთათმანებს.

მივუსხედით პატარა მაგიდას, ტკბილეულობით გაწყობილს. ვიღებ ჭიქას და დეიდას ვულოცავ ახალ წელს. ვცდილობ სიტყვები ძალდაუტანებლად და ხალისიანად ჟღერდეს, მაგრამ არ გამომდის.

დეიდა მეკითხება, როგორ შევხვდი ახალ წელს, როგორ არიან შინ.

პასუხს მოკლედ და ანგარიშმიუცემლად ვიძლევი. მარტო იმიტომ კი არა, რომ ძალიან ნაცნობი და ჩვეულებრივი კითხვებია, უფრო იმიტომ, რომ აქამდე ვერ მოვიგონე სათქმელი, რომელიც ზნეობრივ ხარკად მადევს.

თავისთავად დიდად ზნეობრივი როდია რაღაც ტყუილი მიჩმახმოჩმახო. მაგრამ რისიმე უთქმელობა ქვეყნად მარტოდ დარჩენილი ადამიანისათვის უფრო მეტ დანაშაულად მეჩვენება. ნათქვამია, მიჩვეულს ნუ მოაკლებო. ალბათ დეიდაჩემიც კარგად გრძნობს მანუგეშებელი და დამამედებელი სიტყვის უსაფუძვლობას, მაგრამ იგი დედაა, დედა კი, ვიდრე უკვალოდ გამქრალი შვილის სახელის წარმოთქმა ძალუძს, გულიდან იმედს არ ამოიწურავს.

ჩემი სათქმელი კი არ მოდის და არა. ჩანს გამოიბერტყა სანუგეშო სიტყვათა ხურჯინი.

რატომღაც ნახევარსფეროების რუკას მივაჩერდი. ოდესღაც მე და მიხო გეოგრაფიის გაკვეთილებს ამ რუკასთან გავდიოდით. თავისი მოვალეობა კარგა ხანია მოხდილი ჰქონდა, მაგრამ ძველი და გაცვეთილი, კვლავ წინანდელ ადგილას ეკიდა ხელუხლებლად, როგორც მიხოს ნაქონი.

ქვეცნობიერად ვიგრძენი.რომ ჩემი სათქმელი ამ რუკას უნდა დაკავშირებოდა. ეს ბუნდოვანი შეგრძნება, უკვე აზრად ჩამოყალიბებული, საოცარ უაზრობად მეჩვენა.

თვალებს მაინც ვერ ვაცილებ.

აღმოსავლეთ ნახევარსფეროს, ვითარცა უფრო ნაცნობსა და თითქმის შემოვლილს, მზერა მალე მოვაცილე.

დასავლეთ ნახევარსფეროს ზემოდან ჩამოვყევი. მეჭანიკურად, მაგრამ გულმოდგინედ ვკითხულობ ქვეყნების სახელწოდებას. ვცდილობ გავარჩიო ქალაქების შედარებით წვრილი წარწერები. მეტწილად ვერ ვარჩევ. ისევ ძველი ცოდნის მოშველიება მჭირდება.

ასე მივცოცავ პოლუსიდან პოლუსამდე ჩამოგრძელებულ კონტინენტზე; ზანტად, აუჩქარებლად, დროის მოგების მიზნით. ალბათ ინსტინქტის კარნახით, რომ ნაადრევად ხელიდან არ გამომეცალოს გონებაში დაბადებული ჯერაც შეუცნობელი იმედი სათქმელის პოვნისა.

„ბრაზილია... ყველაზე მეტად რითია ცნობილი?.. მგონი ყავით. დიახ, ყავით... კარტოგრაფები, ეტყობა, ამას სრულებით არ უშვენენ ანგარიშს. ბრაზილია რუკაზე ყოველთვის ყვითლად გამოჰყავთ“...

თვალმა არგენტინაზე გადაინაცვლა.

„არგენტინა ცნობილია... აბა რითია ცნობილი?..“

ბუნდოვანსა და შეუცნობელს, აქამდე ჩემს გონებაში რომ ტივტივებდა, საიდანღაც შეუერთდა გახსენება გაგონილისა. მოულოდნელი აზრი სიბნელეში ბუს თვალებივით აენთო.

„დიახ, დიახ... სწორედ გუშინწინ მიყვებოდა ჩვენი ერთი თანამშრომელი: ომში უგზოუკვლოდ დაკარგული ძმის წერილი მოუვიდა სრულიად მოულოდნელად არგენტინიდანო... ჩემთან აქ სხვა ქართველებიც არიანო...“

მოგეცათ ლხენა, ენად გავიკრიფე: ასე და ასე, დეიდა, არგენტინაში ერთი კაცი აღმოჩენილა, მიხოსავით უგზოუკვლოდ დაკარგული–მეთქი... თანდათან სხვებიც ჩნდებიან... თუ სულ ღვთისპირიდან გადავარდნილი არ არის კაცი, აღარ იმალება წინანდებურად... ახლა ჩვენებიც მეტ გულისხმიერებას იჩენენ-მეთქი და მისთანანი...

დეიდა სულგანაბული მისმენდა.

თუმც სანახევროდ მართალ ამბავს ვუყვებოდი, თვალს მაინც ვარიდებდი, მხოლოდ ერთხელ შევხედე და ვიგრძენი, რომ ჩემს ნაამბობში რაღაც იწამა.

— ნეტამც ეგრე იყოს შვილო! — წარმოთქვა ბოლოს და ამოოხვრას გულიც ამოაყოლა.

წამოვდექი, საღამოს შინ გელოდები–მეთქი და გამოვედი. ბარაქიანად ბარდნიდა.

ხელთათმანები მხოლოდ მაშინ გამახსენდა, როცა შემცივდა. ჯიბეებში მოვიფათურე, მაგრამ ვერ ვიპოვნე. დამრჩენოდა.

ერთი შეყოყმანება კი შევყოყმანდი, მაგრამ შემდეგ გამოვბრუნდი და დეიდას სახლის კიბე სწრაფად ავირბინე. კარზე დაუკაკუნებლად შევედი.

მოხუცს ჩემი დაბრუნება არც გაუგია.

იგი ნახევარსფეროების რუკასთან იდგა. მარცხენა ხელით სათვალეს აწვალებდა, მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი კი არგენტინისათვის დაედო და თვალით ოკეანეს ზომავდა. ეტყობოდა იმის ვარაუდში იყო, რა მანძილი იქნებოდა საქართველოდან არგენტინამდე.

* * *

არგენტინავ, ძალიან შორეულო ქვეყანავ!

თუ მანდ სადმე გეგულება ჩემი მამულის გზააცვალებული შვილები, აუწყე, იჩქარონ საქართველოსაკენ.

დედა ეძებს და უხმობს მათ.

წიგნის თარო

ვახტანგ ჭელიძე — „ივანე მაჩაბელი“ (ბიოგრაფიული რომანი). სერიიდან „გამოჩენილი ადამიანთა ცხოვრება“. გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1968 წელი.

წიგნში აღწერილია დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის ივანე მაჩაბლის ცხოვრება, ლიტერატურულ-საზოგადოებრივი საქმიანობა. ავტორს გამოყენებული აქვს მწერლის კერძო მიმოწერა, იმდროინდელ მოღვაწეთა პირადი წერილები, გამოქვეყნებულ-გამოუქვეყნებელი მემუარები, სამუზეუმო თუ საარქივო საბუთები, პრესაში გაბნეული წერილები, სტატიები, ამა თუ იმ ფაქტის დამადასტურებელი მასალები და დამაჯერებლად, საკმაო სიზუსტით ნაჩვენებია ი. მაჩაბლის მრავალფეროვანი საქმიანობის სხვადასხვა მხარე, დაუდგარი ცხოვრება და ტრაგიკული დასასრული. წიგნს დართული აქვს შენიშვნები, ი. მაჩაბლის პორტრეტი და სხვა ილუსტრაციები, რომლებშიც ასახულია ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი და მისი თანამედროვე ადამიანები.

გიორგი ნატროშვილი — „გულთმისნების ქვეყანა“ (საბავშვო მოთხრობები). გამომცემლობა „ნაკადული“. თბილისი, 1968 წელი.

ავტორი წარმატებით მუშაობს საბავშვო ლიტერატურაშიც. წიგნში შეტანილია 11 მოთხრობა. „გულთმისნების ქვეყანა“, „ნუ სტირი, ბიჭო!“, „კურდღლებიანი კაბა“, „სასწაული“, „მათხოვარი“, „ოსტატის საიდუმლოება“, „ხუთასი ობოლი“, „ჯარისკაცის გული“, „ციცინო“, „შელოცვილი ვაშლი“ და „ერთი ტბაა მინდორში“. მათი მოქმედი პირები არიან ბავშვებიც და დიდებიც, რომლებიც ყურადღებით ეკიდებიან მოზარდი თაობის წარმომადგენლებს. მოთხრობათა პერსონაჟები გადამწყვეტ სიტუაციებში გაბედულად მოქმედებენ და მათი უმეტესობაც მკითხველთა მოწონებას იმსახურებს.

რევაზ ინანიშვილი — „ცისფერი გორგალი“ (მოთხრობები). გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1968 წელი.

ახალგაზრდა მწერლის ამ კრებულში შეტანილია უკანასკნელ წლებში დაწერილი 11 მოთხრობა: „თოვლი“, „ზამთარი“, „წისქვილში რომ წავედი“, „გზა კალეიდოსკოპისაკენ“, „ცივი წვიმა“, „თოფლობის თვე“, შემოდგომა“, „თუთაზე“, „როცა ტყეს ძარცვავენ“, „ცისფერი გორგალი“, „დღე თებერვალში“. მათი ძირითადი თემაა თანამედროვე ცხოვრება, ახალგაზრდების შრომის, სწავლისა და ყოფაცხოვრების საკითხები, რომელთა გადაწყვეტას საფუძვლად უდევს მწერლის ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებები, განცდები თუ მოგონებები, უკანასკნელი ნაწარმოები „დღეები ღრუბლებთან“ მოგზაურობის ჩანაწერია და გვიხატავს ავტორის ყოფნას დაღესტანის ასს რესპუბლიკაში, მის ადამიანთა დღევანდელობას, მათთან შეხვედრის მომენტებს.

კარლო კოკვრიძე — „ყანებს ყაყაჩო შერეოდა“ (მოთხრობები). გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1967 წელი.

ავტორი ახალგაზრდა მწერალია, რომლის ნაწარმოებები იბეჭდება ჩვენს ყურნალ-გაზეთებში და მკითხველთა ყურადღებას იპყრობს. ამ კრებულში დაბეჭდილია 4 საბავშვო მოთხრობა: „როცა ეზოში ფეხბურთს თამაშობენ“, „ყანებს ყაყაჩო შერეოდა“, „მწვანე არდადეგები“, „დილა, შუადღე, საღამო“. ისინი გვიხატავენ ჩვენი მოზარდი თაობის წარმომადგენლებს, ჭკვიან და კაცთმოყვარე ბიჭებს, რომლებიც დიდ ინტერესს ავლენენ ბუნების მოვლენებისადმი, სწავლისადმი, შრომისადმი, გარშემო მყოფი ადამიანებისადმი. მოთხრობათა პერსონაჟების უმეტესობას ახასიათებს კეთილშობილური თვისებები და ისინიც მკითხველის დაინტერესებას იწვევენ.

მეცნიერი, მამულიშვილი



საქართველოს საზოგადოებრიობამ აღნიშნა გამოჩენილი მეცნიერის პროფესორ არნოლდ ჩიქობავას დაბადების 70 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლისთავი.

არნ. ჩიქობავა დაიბადა 1898 წელს სოფელ საჩიქობაოში (სენაკის მაზრა, ახლანდელი ცხაკაიას რაიონი). 1917 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია და 1918 წელს შევიდა თბილისის ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საენათმეცნიერო განყოფილებაზე.

არნ. ჩიქობავა არის პირველი მეცნიერებათა დოქტორი თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შორის და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი შემადგენლობის აკადემიკოსი (1941 წ.).

არნ. ჩიქობავას პირველი მეცნიერული ნაშრომი გამოქვეყნდა 1923 წელს, აქედან მოკიდებული იგი თავდადებით ემსახურება ენათმეცნიერების განვითარებას ჩვენში. პროფ. არნ. ჩიქობავას მიერ მიზანდასახულად წარმოებული მუშაობით სრული უეჭველობით მტკიცდება, რომ ქართული და მთის იბერიულ-კავკასიური ენები შეადგენენ ენათა ერთ ოჯახს — იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს, რომ ქართულ-ქართველური ენების უძველესი აღნაგობის გათვალისწინება შეუძლებელია, თუ არ იქნა შესწავლილი მთის იბერიულ-კავკასიური ენები. სწორედ ამის გამო მისი ინიციატივით ამ 35 წლის წინათ შეიქმნა კავკასიურ ენათა კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მთის იბერიულ-კავკასიური ენების განყოფილება ენათმეცნიერების ინსტიტუტში. ამის შემდეგ სულ მალე თბილისი იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის საყოველთაოდ აღიარებული ცენტრი გახდა. შეიქმნა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება.

განუზომელია პროფ. არნ. ჩიქობავას დამსახურება იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წინაშე. ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა სტრუქტურისა და მათი გენეტიკური ურთიერთობის საკითხების შესწავლას მან მიუძღვნა ფუნდამენტალური მონოგრაფიები: „მარტივი წინადადების პრობლემა ძველ ქართულში“, „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“, „ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“, „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“, „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“ და სხვ.

დიდია პროფ. არნ. ჩიქობავას ღვაწლი ქართველური ენების დიალექტების შესწავლის საქმეში; მისი გამოკვლევები ფერეიდნულის, მთიულურისა და გარეკახურის შესახებ ქართული დიალექტოლოგიის თვალსაჩინო მონაპოვარს წარმოადგენს. მან გამოსცა ენათმეცნიერული თვალსაზრისით სანიმუშო ტექსტები ჭანურის (ლაზურის) ყველა კილოკავისა და, ბოლოს, ჭანურს მიუძღვნა ბრწყინვალე მონოგრაფია „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“.

სრულიად განსაკუთრებული ხასიათისაა პროფ. არნ. ჩიქობავას კვლევაძიებითი მუშაობა ზოგადი ენათმეცნიერების დარგში. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ „ზოგადი ენათმეცნიერება, პროპედევტიკული ნაწილი“ — სტუდენტთა სახელმძღვანელო, რომელიც რამდენჯერმე გამოვიდა და სანიმუშო წიგნს წარმოადგენს აქამდე გამოცემულ საუნივერსიტეტო კურსებს შორის, და „ზოგადი ენათმეცნიერება, ძირითადი პრობლემები“.

საქვეყნოდ აღიარებულია ის მაღალი პრინციპულობა, რომელიც პროფ. არნოლდ ჩიქობავამ გამოიჩინა „ენის შესახებ ახალი მოძღვრების“ — იაფეტიდოლოგიის წინააღმდეგ ხანგრძლივ და შეუპოვარ ბრძოლაში.

არნოლდ ჩიქობავამ დიდი ამაგი დასდო ქართულ სალიტერატურო ენას. ათეული წლების მანძილზე იგი მონაწილეობს ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნისა და სალიტერატურო ენის ნორმების დადგენის საქმეში; კერძოდ, მან დაამუშავა ქართული ენის ნორმათა დადგენის პრინციპები.

1945 წელს არნოლდ ჩიქობავა სათავეში ჩაუდგა რვატომიანი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენის საქმეს. მისი ცოდნის, ენერგიისა და ორგანიზატორული ნიჭის წყალობით ეს დიდი ეროვნული საქმე წარმატებით დაგვირგვინდა. ლექსიკონმა მოწონება დაიმსახურა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში (საფრანგეთში, ინგლისში, ნორვეგიაში, ჰოლანდიაში...).

არნოლდ ჩიქობავას მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები, მინიჭებული აქვს მოსკოვის უნივერსიტეტის პრემია ლომონოსოვის სახელობისა. იგი არის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

პროფ. არნოლდ ჩიქობავას სახელი ფართოდ არის ცნობილი საზღვარგარეთაც. მის ნაშრომებს დიდად აფასებენ ცნობილი ენათმეცნიერები: ჟორჟ დიუმეზილი, რენე ლაფონი (საფრანგეთი), ჰანს ფოქტი (ნორვეგია), იულიუს ასფალგი (გფრ), გერტრუდ პეჩი (გდრ), ჟორჟ გარიტი (ბელგია), ვლ. გეორგიევი (ბულგარეთი) და სხვები. არნოლდ ჩიქობავა არის ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი. ახლახან პროფ. არნოლდ ჩიქობავა საპატიო წევრად აირჩია დიდი ბრიტანეთის ფილოლოგიურმა საზოგადოებამ.

დიდი მეცნიერი, მიუხედავად ხანდაზმულობისა, აღსავსეა ენერგიით და ფართო შემოქმედებითი გეგმები აქვს დასახული.

რ. ლამბაშიძე,
მ. ჭაბაშვილი.

საიუბილეო საღამოზე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს პროფ. არნოლდ ჩიქობავას დაბადების 70 და სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლისთავის აღსანიშნავად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა საიუბილეო საზეიმო სხდომა, რომელიც მოაწყეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი განათლების სამინისტრომ და უნივერსიტეტმა.

მოკლე შესავალი სიტყვით სხდომა გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი განათლების მინისტრმა აკად. ზ. ჩიბლაძემ. მოხსენებები წაიკითხეს მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფ. ქრისტესია ლომთათიძემ — „არნოლდ ჩიქობავას ცხოვრება და მოღვაწეობა“, პროფ. თინათინ შარაძემ — „არნოლდ ჩიქობავა და ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები“, პროფ. ივ. გიგინეიშვილმა — „არნოლდ ჩიქობავა და ქართული სალიტერატურო ენისა და ლექსიკოგრაფიის საკითხები“, პროფ. ვლ. ცერცვაძემ — „არნოლდ ჩიქობავა და იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლა“, აკად. ა. ბოჭორიშვილმა „არნოლდ ჩიქობავა და ფილოსოფია-ფსიქოლოგიის პრობლემატიკა“.

სამეცნიერო მოხსენებით გამოვიდა იუბილარი თემაზე: „თანამედროვე ზოგადი ლინგვისტიკის საკვანძო საკითხები და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“.

პროფ. არნოლდ ჩიქობავას გულთბილად მიესალმნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი პროფ. ს. ჯორბენაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი აკად. გ. მელიქიშვილი და საბჭოთა კავშირის ბევრი სხვა სამეცნიერო დაწესებულების წარმომადგენლები.

იუბილარის სახელზე მოვიდა მოსალოცი დეპეშები საბჭოთა კავშირის განათლების მინისტრის მ. პროკოფიევისაგან, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აკად. ი. პეტროვსკისაგან, ოსლოს უნივერსიტეტის რექტორის პროფ. ჰ. ფოქტისაგან, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ვლ. გეორგიევისაგან და ბევრი სხვა მეცნიერისა და მოღვაწისაგან.

როგორც მომხსენებლები, ისე მილოცავთა ავტორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ აკად. არნოლდ ჩიქობავას უდიდეს დამსახურებას იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლისა და ზოგადი ენათმეცნიერების კარდინალური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა აკად. არნოლდ ჩიქობავამ. იუბილემ უაღრესად გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

„სამშობლოს ხმის“ კორ.

სხვადასხვა

◆

ჟუთაისი — ავღანეთს

ჟუთაისი. რამდენიმე წელია, რაც ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა თავის პროდუქციას გზავნის ავღანეთში. ძირითადად იგზავნება ავტომანქანის სათადარიგო ნაწილები.

ავღანეთში წყალსატუმბებს გზავნის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი. აქედან ავღანეთში საშახტე ელმავლებიც იგზავნება.

გურჯაანიდან — საზღვარგარეთ

გურჯაანი. მიმდინარე წელს წარმატებით მუშაობს საბტრესტის გურჯაანის ღვინის ქარხნის კოლექტივი.

მიმდინარე წელს გურჯაანის ქარხანამ საზღვარგარეთის ქვეყნებში უკვე გაგზავნა 60.000 დეკალიტრზე მეტი ღვინო. ახლახან გურჯაანული ღვინო გაეგზავნათ ჩეხოსლოვაკიის და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ბათუმში შენდება

ბათუმში შენდება ახალი სამგზავრო-საბაგირო გზა. იგი ბარათაშვილის ქუჩას დაუკავშირებს ბათუმის მთას. ტრასის სიგრძეა 1.450 მეტრი. ვაგონეტები საათში გადაიყვანენ ექვსასზე მეტ მგზავრს.

დამსვენებლებს საშუალება ექნებათ დასტკბნენ სანაპიროს პანორამით ამ მთიდან.

„რუსთავის ფუნიკულიორი“

რუსთავის ქიმიკოსები, მეტალურგები, მშენებლები მონაწილეობენ შაბათობებში იაღლუჯის მთაზე. აქ გაშენდება კულტურისა და დასვენების პარკი, რომელსაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უკვე შეარქვეს „რუსთავის ფუნიკულიორი“.

უახლოეს დროში დაიწყება სამგზავრო საბაგირო გზის მშენებლობა, რომელიც ქალაქის ცენტრს დააკავშირებს მთასთან. მისი სიგრძეა 1.200 მეტრი. „საჰაერო ტრამვაი“ საათში გადაიყვანს 380 მგზავრს.

მთაზე აშენდება მეტალურგთა და ქიმიკოსთა სანატორიუმები, კოტეჯები, საზაფხულო კინოთეატრი, რესტორანი, სასპორტო მოედნები. (საქდესი).

ხუთი დიპლომი კოლმეურნის ოჯახში

ლენტეხი. სოფლის ფოსტალიონს სოფელ სასაშის კოლმეურნის სტეფანე ონიანის ოჯახში ყოველდღიურად დიდძალი ლიტერატურა მიაქვს. სტეფანეს ოჯახის წევრები პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის გარდა წიგნებს იწერენ ფილოლოგიის, ქიმიის, სამთო საქმის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის დარგში.

შვიდი ქალ-ვაჟი გაზარდეს სტეფანე და ელენე ონიანებმა. მათგან უფროსმა ვაჟებმა შალვამ და ალიოშამ არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში მუშაობა ირჩიეს, მშობლებს გვერდში ამოუდგნენ და უმცროსი და-ძმების აღზრდაში ეხმარებოდნენ. მათმა შრომამ ნაყოფი გამოიღო.

კოლმეურნე სტეფანე ონიანის ოჯახიდან სასწავლებლად პირველი გაემგზავრა მისი ქალიშვილი თამარი, რომელმაც ამ ოჯახში პირველმა მიიღო უმაღლესი განათლება, გეოგრაფი გახდა და ამჟამად მშობლიური სოფლის სკოლაში მუშაობს მასწავლებლად. შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა სტეფანეს ვაჟმა შერმადინმა და ის, როგორც წარჩინებული სტუდენტი ასპირანტურაში დატოვეს. შერმადინმა დაამთავრა ასპირანტურა, წარმატებით დაიცვა დისერტაცია და ამჟამად ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატია.

უმაღლესი განათლების მისაღებად გაემგზავრნენ სტეფანეს დანარჩენი შვილებიც. შადიმანი სამთო ინჟინერი გახდა და ამჟამად მშობლიურ რაიონში მუშაობს თავისი სპეციალობის მიხედვით, უმცროსი ვაჟი ოთარი წელს ამთავრებს ასპირანტურას, ხოლო ქალიშვილმა თალიკომ ბიოლოგიის სპეციალობა შეისწავლა და ამ დარგში მოღვაწეობს.

„მწვანე ეკიმი“

მას ნახავთ არა მარტო შავი ზღვის სანაპიროს მზიურ ველებზე ან ზღვისპირა ქედების სამხრეთის კალთებზე, არამედ აგრეთვე... სოხუმის ბევრი სახლის ფანჯრის რაფებზე. ამ სითბოსმოყვარული მცენარის ბოტანიკური სახელწოდებაა „ფრთისებრ-ფოთლოვანი კოლანჰოე“. ჩვენი ქვეყნის ბევრ კლინიკაში შეამოწმეს მედიკოსმა მისგან დამზადებული პრეპარატების მოქმედება და შედეგი ყოველთვის კარგი იყო. ისინი მკურნალობენ ძირმაგარას, ჩირქიან ჭრილობას, კარბუნკულს და სხვ. მალე ამ სასარგებლო მცენარის ნაყენი და მალამო შეავსებს საკურორტო აფთიაქების სამკურნალო საშუალებათა არსენალს.

აფხაზეთის მდიდარი და ლამაზი მცენარეული სამყარო დიდი ხანია გახდა ადამიანის ერთგული მეგობარი. დაახლოებით 25 წლის წინათ საბჭოთა მეცნიერმა ტოკინმა მცენარეებიდან გამოყო აქროლვადი ნივთიერებანი, რომლებიც დამღუპველად მოქმედებენ ავადმყოფობის გამომწვევ მიკრობებზე. მათ უწოდეს ფიტონციდები. ამ ნივთიერებებს შეიცავს ბევრი ყვავილი, ხავხვი, ნიორი და საკმაო რაოდენობით ტარხუნა, წიწმატი და სხვ.

ნამდვილი სიმდიდრე იზრდება აფხაზეთის მზიანი ველებისა და თვალწარმტაცი მთის მდინარეების ხეობათა „აფთიაქებში ღია ცის ქვეშ“. ეს არის ჩვეულებრივი მრავალძარღვა, რომელიც ზრდის კუპრის სეკრეციას, ტანწერწეტა ევკალიპტები, რომელთა ფოთლიდან მზადდება ნაყენი ადამიანის სხვადასხვა დაავადების წინააღმდეგ, ნესვის ხე, რომელიც კურნავს კუპრის წყლულს. ცხენისწაბლიდანაც კი, რომელიც ამშვენებს რესპუბლიკის კურორტების ქუჩებსა და პარკებს, იღებენ „ესკუზანს“ — ვენების კედლის გამაგრების საშუალებას. ჩვეულებრივი აღმოსავლური ხურმა მწკლარტე ელემენტების დიდი შემცველობის გამო ჩინებული საშუალებაა კუპ-ნაწლავების ტრაქტის აშლილობის დროს. და თუ ახლა სხვადასხვა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში მედიცინას ემსახურება 200-ზე მეტი სამკურნალო მცენარე, მათი ნახევარი აფხაზეთის მკვიდრია.

დიდი პოეტის სახელოგისა



ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეოდ

მიმდინარე წლის სექტემბერში ზეიმით აღინიშნება დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავი. როგორც დიდი ეროვნული დღესასწაულისათვის, ისე ემზადებიან რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებები და უმაღლესი სასწავლებლები, შემოქმედებითი ორგანიზაციები და მუზეუმები, გამომცემლობები და თეატრები, ბიბლიოთეკები და კულტურის სახლები.

გამომცემლობები „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურა“, „სოვეტსკი პისატელი“ (მოსკოვი) და „საბჭოთა საქართველო“ უშვებენ დიდი პოეტის ლექსების კრებულს. პოეტის საუცხოო ლექსები აჟღერდება ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. თარგმანისათვის მოწვეული არიან პოეტები საფრანგეთიდან, ინგლისიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. ნ. ბარათაშვილის იუბილე აღინიშნება ლიტერატურული საღამოებით, გამოფენებით და სამეცნიერო სესიებით. დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ბიბლიოთეკებში ეწყობა ლექციები და საუბრები ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ინიციატივით ეწყობა საუბრების ციკლები მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ყოველ ორშაბათს მწერალთა კავშირში თვალსაჩინო მეცნიერები, მწერლები, ლიტერატურათმცოდნეები წაიკითხავენ ლექციებს, რომლებიც მიეძღვნება ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის დიდმნიშვნელოვან ფაქტებს, მის შემოქმედებითს მემკვიდრეობას, პოეტის ენასა და სტილის საკითხებს. უკვე გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების გ. ჯიბლაძისა და ა. ბარამიძის, პროფესორების ა. სურგულაძისა და გ. გოზალიშვილის, კრიტიკოს გ. ასათიანის საუბრები.

✦

დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის **ნიკოლოზ ბარათაშვილის** სახელთან დაკავშირებულია საქართველოს დედაქალაქის ბევრი ადგილი. თბილისში გვაქვს დიდი მგოსნის სახელობის ქუჩა, აღმართი, ხიდი.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ **ნ. ბარათაშვილის სახელობის ხიდს,** რომელიც ერთ-ერთი უდიდესია თბილისში.

მეცნიერები — სპორტსმენებს

საბჭოთა სპორტსმენები გულდასმით ემზადებიან მეხიკოს ოლიმპიური ასპარეზობისათვის. საიდუმლო არ არის, რომ მაღალი მთის პირობებში ადვილი არ იქნება დიდი სპორტული მაჩვენებლების მოპოვება. ამიტომ მეცნიერების მრავალი დარგის სპეციალისტები დიდ მუშაობას ეწევიან მთის პირობებში სპორტსმენის მდგომარეობის განმსაზღვრელი სპეციალური ხელსაწყოების შესაქმნელად, ამუშავებენ წვრთნის ახალ სქემებსა და გრაფიკებს. ამ დიდ საქმეში თავისი წვლილი შეაქვს აგრეთვე საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს.

სასიგნალო მწვრთნელი-ხელსაწყო, რომელიც შექმნეს ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ი. ვარდიმველმა და სპორტის ოსტატმა დ. ზანდუკელმა, შეიძლება ფართოდ იქნეს გამოყენებული ისეთი წვრთნის დროს, სადაც მოძრაობას ციკლური ხასიათი აქვს, მაგალითად, თხილამურებით სპარული, ველოსიპედების რბოლა, ნიჩბოსნობა და სირბილი.


ეს ხელსაწყო წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული ორიენტაციისათვის სიჩქარის განვითარების დროს, დისტანციის დასაზვერად ზუსტად გრაფიკის მიხედვით. საწვრთნელი დატვირთვების ოპერატიული რეგულირებისათვის.

აი კიდევ ერთი ხელსაწყო — რადიოელექტროსიგნალიზატორი. იგი შედგება მართვის პულტისაგან, რომელიც აფორმებს და გადასცემს სისტემის ინფორმაციას, და მიმღებისაგან. ანტენა და მიმღები დამონტაჟებულია ველოშუზარადში. მიმღები მოწყობილობა სპორტსმენის მუზარადში თითქმის არ იგრძნობა. გამოყენებულია მინიატურული ტელეფონი, რომელიც დამაგრებულია სპორტსმენის ყურის ნიჟარაში. აპარატი ადვილად შეიძლება დამონტაჟდეს მოტომრბოლის მუზარადში, მცურავის ჩაფხუტში.

მანძილზე პედალირების სიხშირის ობიექტური რეგისტრაციისათვის შექმნილია რადიოტელემეტრიული აპარატურა. ველოსიპედის ჩარჩოებზე იდგმება საკონტაქტო სისტემა, რომელიც შეერთებულია უნაგირის ქვეშ დამაგრებულ გადამცემთან. ხელსაწყო სინქრონულად აღნუსხავს მჭიდაკრას ტრიალს, ველოსიპედისტისათვის მიცემული სიგნალის სიხშირეს, დროს წამებში, რბოლის დასაწყისსა და ბოლოს. ჩაწერასთან ერთად რეგისტრირებული სიგნალის მიღება ხდება სმენითაც. რამდენიმე მეცადინეობის შემდეგ ველოსიპედისტები ეჩვევიან ინფორმაციის აღთქმასა და ანალიზს.

ასეთი მართვის შედეგად ველოსიპედისტები ავითარებენ მეტ სიჩქარეს, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში.

ამას წინათ ინსტიტუტში შეიქმნა მარეგისტრირებელი პორტატიული აპარატურა ავტონომიური კვებით, იგი იწონის დაახლოებით კილოგრამს და იღებს სიგნალებს სპორტსმენის ორგანიზმის ტელემეტრიული გამოკვლევისათვის. აპარატურა სამარხიანია — დიაგრამულ ლენტზე ერთსა და იმავე დროს აღირიცხება სპორტსმენის სუნთქვის, მოძრაობისა და მაჯისცემის სიხშირის მაჩვენებლები. ხელსაწყო ძალიან მოხერხებულია მაღალი მთის პირობებში.



გზები მთებში

გამოიწერეთ საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, ზ. ანთელიის, ქ. № 25.